საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაღლაფერიძე ვასილ თეიმურაზის ძე

მაღლაფერიძე ვასილ თეიმურაზის ძე (დ. 5. IX. 1958, თბილისი), ფილოლოგი, პედაგოგი, ჟურნალისტი. 1980 დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკ-ტი. 1981–82 მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გაერთიანება „დებიუტის“ უფრ. რედაქტორად, 1984–94 – მე-6 საშ. სკოლაში ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად, 1988–90 – თსუ-ის ძვ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის კათედრაზე, 1992–97 – თსუ-ის ქართ. ქრისტ. კულტურის შემსწავლელი ლაბორატორიის გამგედ. 1993 დააფუძნა გაზ. „კავკასიონი“ (გამოდიოდა 2000 წლის ჩათვლით), რ-ის რედაქტორიც იყო 1995–97. იყო საქართვ. მე-5 (1999–2004) და მე-6 მოწვევის (2004–05) პარლამენტის წევრი, სახელმწ. რწმუნებული – გუბერნატორი დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში (2005–08); ტელეკომპანია GDS-ის გადაცემა „საზოგადოება 20/30-ის“ მთ. პროდიუსერი (2014–16) და საზ. მაუწყებლის გენ. დირექტორი (2017–20). 2022-იდან არის საქართვ. საზ. მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავ-რე. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა და პუბლიც. სტატიებისა. 1993 მონაწილეობდა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად გამართულ ბრძოლებში.